

მხენარეთა და სხოველთა
ახალი ჯიშების დაცვის
ოფისიალური
ბიულეტენი

**O F F I C I A L
B U L L E T I N**

**FOR THE PROTECTION
OF NEW VARIETIES OF PLANTS
AND BREEDS OF ANIMALS**

2(42)

ბიულეტენში გამოქვეყნებულია
THE PUBLICATION IN THE BULLETIN

მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადები
THE APPLICATIONS NEW VARIETIES OF PLANTS
№№200-201; 203-206; 209-211; 223

ცხოველთა ახალი ჯიშის განაცხადი
NEW ANIMAL BREED
№167

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შედავა: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breeds of animals or new varieties of plants does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა
LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)
P – Indication of applications for plant varieties (Plant)

- (10) P 0000 000 A მცენარის ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for plant varieties (I publication)
- (11) P 0000 000 B მცენარის ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for plant varieties (II publication)
- (21) P 0000 000000 მცენარის ჯიშის განაცხადის ნომერი
Serial number of application for plant varieties

A – ცხოველის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)
A – Indication of applications for animal breeds (Animal)

- (10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new animal breeds (I publication)
- (11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new animal breeds (II publication)
- (21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Serial number of application for new animal breeds

შ ი ნ ა ა რ ს ი

განაცხადები

მცენარეთა ახალი ჯიშები

▪ სიმინდი „სახამებლიანი შავი“	4
▪ ნექტარინი „მონფირი“	7
▪ ატამი „მონჟონი“	10
▪ ატამი „მონდორე“	12
▪ ატამი „მონკავი“	14
▪ ნექტარინი „ვესტერნ რედ“	16
▪ ნექტარინი „მაჯესტიკ პერლი“	18
▪ ატამი „აივორი სტარი“	20
▪ ატამი „ბრაპრინი“	22
▪ ბალი „ბლექ სტარი“	25

ღანართეები

▪ სიმინდი „სახამებლიანი შავი“	28
▪ ნექტარინი „მონფირი“	34
▪ ატამი „მონჟონი“	41
▪ ატამი „მონდორე“	48
▪ ატამი „მონკავი“	53
▪ ნექტარინი „ვესტერნ რედ“	58
▪ ნექტარინი „მაჯესტიკ პერლი“	64
▪ ატამი „აივორი სტარი“	70
▪ ატამი „ბრაპრინი“	78
▪ ბალი „ბლექ სტარი“	85

CONTENTS

APPLICATIONS

NEW VARIETIES OF PLANTS

▪ CORN "SAXAMEBLIANI SHAVI"	5
▪ NECTARINE "MONPHIR"	8
▪ PEACH "MONJAUNE"	11
▪ PEACH "MONDORE"	13
▪ PEACH "MONCAV"	15
▪ NECTARINE "WESTERN RED"	17
▪ NECTARINE "MAJESTIC PEARL"	19
▪ PEACH "IVORY STAR"	21
▪ PEACH "BRAPRIN"	23
▪ CHERRY "BLACK STAR"	26

ANNEXES

▪ CORN "SAXAMEBLIANI SHAVI"	28
▪ NECTARINE "MONPHIR"	34
▪ PEACH "MONJAUNE"	41
▪ PEACH "MONDORE"	48
▪ PEACH "MONCAV"	53
▪ NECTARINE "WESTERN RED"	58
▪ NECTARINE "MAJESTIC PEARL"	64
▪ PEACH "IVORY STAR"	70
▪ PEACH "BRAPRIN"	78
▪ CHERRY "BLACK STAR"	85

განაცხადი

რეგისტრირებული ცხოველთა ახალი ჯიშები

▪ მიწის ჭიანჭელა „ქართული ახალი“	91
--	----

APPLICATION

REGISTERED NEW ANIMAL BREED

▪ WORM "QARTULI AXALI"	92
------------------------------	----

ახალი ჯიშები

ბანაცხალები

ბანაცხაღის ბამოქვეყნების ნომერი:	P 2017 200 A
ბანაცხაღის ნომერი:	P 2016 200
ბანაცხაღის წარღმენის თარიღი:	2016 12 01

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ოთარ ლიპარტელიანი
წილკნის საკრებულო, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);
ფილარეტ ბეგოიძე
სოფ. ერედა, მცხეთა (GE);
ლია ქირიკაშვილი
გლდანი, მე-2 მ/რ, კორპ. 46, ბ. 22, თბილისი (GE);
იოსებ სარჯველაძე
გ. ჩიტაიას ქ. 13/2, თბილისი (GE);
მანანა ირიაული
სოფ. ახალუბანი, მცხეთა (GE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

სიმინდი *Zea Mays amylaceae*

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: სახამებლიანი შავი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ჯიში „სახამებლიანი შავი“ გამოყვანილია სპონტანური მუტაციის ზემოქმედებით მარტივი საზთაშორისი ჰიბრიდის „ქართული 9“ თესლიდან, მარცვლების გამორჩევით, წლების განმავლობაში საკონტროლო, წინასწარი და საკონკურსო გამოცდებში სამეურნეო, მორფო-ბოტანიკური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ნიშან-თვისებების მიხედვით, აგრეთვე, გამოცდისა და შესწავლის შედეგად. მცენარე - ძლიერი, ნარინჯისფერი, სახესხვაობა სახამებლიანი *z.m. amylaceae*, ენდოსპერმი - ფქვილისებრი. მარცვალი - შავი, დაკბილვა არ ემჩნევა. მარცვლის სიგრძეა 12 მმ, სიგანე - 7 მმ, სისქე - 2 მმ. 1000 მარცვლის მასა 320 გრამია, შეიცავს: სახამებელს 22 გრ, ცილას 10,99%-ს, ცხიმს 5,64 %-ს. ამ მხრივ ის უკეთესია, ვიდრე „აჯამეთის თეთრი“, „ქართული კრუგი“ და „აბაშური ყვითელი“. მარცვლის გამოსავალი ტაროდან 84%, ნაქუჩი თეთრი, მარცვლის რიგების რიცხვი 14, მცენარის სიმაღლე 220 სმ, ფოთლების რიცხვი 14, მუხლების რიცხვი 12. ჯიში რეკომენდებულია სამრეწველო მიმართულებით სახამებლის, სპირტის მისაღებად და მესაქონლეობისათვის სიმინდის მწარმოებელი ყველა ზონისათვის.

**NEW VARIETIES OF PLANT
APPLICATIONS****NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2017 200 A**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2016 200**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2016 12 01**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Otar Liparteliani

Tsilknis sakrebulo, sop. Selekcia, Mtskheta (GE);

Pilaret Begoidze

Sop. Ereda, Mtskheta (GE);

Lia Kirikashvili

Gldani, me-2 m/r, Korp. 46, b. 22, Tbilisi (GE);

Ioseb Sarjveladze

G. Chitaias q. 13/2, Tbilisi (GE);

Manana Iriauli

Sop. Akhalubani, Mtskheta (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S
LANGUAGE AND IN LATIN:** Corn Zea Mays amylaceae**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:**
SAXAMEBLIANI SHAVI**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

The variety "Saxamebliani shavi" is cultivated under the influence of the spontaneous mutation from the simple inter-line hybrid seed of "Kartuli 9", with a selection of amylaceous black color grains, as a result of testing and research according to agricultural, morpho-botanical, physiological and biochemical characteristics in control and pre-competition tests during the years. Plant as a strong, orange, variety amylaceous z.m. amylaceae, endosperm flour like.

Grain black, serration is not marked grain length 12mm, width 7mm, thickness 2 mm. 1000 grain mass 320 g, contains starch 22 g. Protein 10,99 %, fat 5,64 %. In this regard, it is better than "Ajametis tetri", "Kartuli krugi" and "Abashuri kviteli". Grain output from corn-cob is 84 % shell white color, grain row number 14, plant height 220 cm, leave number 14, knees number 12, variety is recommended to the industrial direction for receiving starch, alcohol and for cattle-breeding for all corn producing zone.



განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: P 2017 201 A
განაცხადის ნომერი: P 2016 201
განაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 15

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

რენე მონტე-კაილე

ლე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი (FR)

მცენარის ჯიშის ბჰარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ნექტარინი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მონფირო

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული ნექტარინის ჯიში ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონფირო“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ნექტარინის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონფირო“ ხასიათდება პროდუქტიული, დიდი ზომის ნაყოფებით და კარგი შეფერილობით, ნაყოფი კარგად ინახება ხეზე ზიგზაგისებრი განლაგებით და არის შესანიშნავი გემური თვისებების.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 201 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 201
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 15

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

René MONTEUX-CAILLET (FR)
Les Coustières de Malacercis 13890 MOURIES (FR)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S

LANGUAGE AND IN LATIN: Nectarine Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MONPHIR

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The new and distinct variety of nectarine, botanically known as *Prunus persica* (L). Batsch, hereinafter referred to by the variety denomination "MONPHIR", originated from a cross made pollination in a planned, controlled breeding program in South East of France. A new and distinct *Prunus persica* (L). Batsch nectarine variety named "MONPHIR", particularly characterized by its productivity, big-size fruits of a regular shape with good coloration. The fruits hold well on the tree what allows a staggered harvest, and they have an excellent eating quality.



ბანაცხადის გამომგზავნების ნომერი: P 2017 203 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 203
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 15

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

რენე მონტე-კაილე

ლე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი (FR)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ატამი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მონჟონი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება როგორც „მონჟონი“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონჟონი“ ხასიათდება ფართო, ენერგიული, გვიან მსხმოიარე პროდუქტიული ხით. ნაყოფებს აქვს წითელი შეფერილობა ნარინჯისფერი-ყვითელი რბილობით. რბილობი ძალიან ტკბილია, ოდნავ მუავე, კარგი გემური თვისებებით.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 203 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 203
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 15

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

René MONTEUX-CAILLET (FR)
Les Coustières de Malacercis 13890 MOURIES (FR)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MONJAUNE

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The new and distinct variety of peach, botanically known as *Prunus persica* (L). Batsch, hereinafter referred to by the variety denomination "MONJAUNE", originated from a cross made pollination in a planned, controlled breeding program in South East of France. A new and distinct *Prunus persica* (L). Batsch peach variety named "MONJAUNE", particularly characterized by a semi- vigorous tree, the late ripening of the fruit and skin with an intense red color on an orange-yellow ground. The light yellow flesh is firm, very sweet with few acidity and good eating quality.



ბანაცხადის გამომგვამების ნომერი: P 2017 204 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 204
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 15

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

რენე მონტე-კაილე

ლე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი (FR)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ატამი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მონდორე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონდორე“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონდორე“ ხასიათდება ფართო, ენერგიული, პროდუქტიული და რეგულარულად მსხმოიარე ხით. ინტენსიური ყვავილობით, საუკეთესო A და AA ზომის კარგი შეფერილობის და ტკბილი გემოს ნაყოფით.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 204 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 204
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 15

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

René MONTEUX-CAILLET (FR)
Les Coustières de Malacercis 13890 MOURIES (FR)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MONDORE

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The new and distinct variety of peach, botanically known as *Prunus persica* (L). Batsch, hereinafter referred to by the variety denomination "MONDORE", originated from a cross made pollination in a planned, controlled breeding program in South East of France. A new and distinct *Prunus persica* (L). Batsch peach variety named "MONDORE", particularly characterized by its very good productivity, an early and strong flowering intensity, attractive fruits of A and AA size with good coloration and sweet flavor.



ბანაცხადის გამომგვამების ნომერი: P 2017 205 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 205
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 15

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

რენე მონტე-კაილე

ლე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი (FR)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ატამი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მონკავი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონკავი“ მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონკავი“ ხასიათდება საუკეთესო პროდუქტიულობით. ნაყოფები დიდი ზომისაა, სტანდარტული, რბილობი ტკბილია, კარგი გემური თვისებებით.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 205 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 205
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 15

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:
René MONTEUX-CAILLET (FR)
Les Coustières de Malacercis 13890 MOURIES (FR)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MONCAV

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The new and distinct variety of peach, botanically known as *Prunus persica* (L). Batsch, hereinafter referred to by the variety denomination "MONCAV", originated from a cross made pollination in a planned, controlled breeding program in South East of France. A new and distinct *Prunus persica* (L). Batsch peach variety named "MONCAV", particularly characterized by its excellent potential of productivity. The fruit is big, uniform, firm, very colorful with good eating quality.



ბანაცხადის გამომგვიყვანების ნომერი: P 2017 206 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 206
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 19

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი
10219, ი. მარიპოსა ვეი, ლე გრანდ, CA, 95333 (US)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ნექტარინი Prunus Persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ვესტერნ რედო

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიათება:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ნექტარინის ხეს *Prunus persica* L. და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ვესტერნ რედი“. ხასიათდება ფართო, ენერგიული, პროდუქტიული და რეგულარულად მსხმოიარე ხით. ხილი მწიფდება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში აგვისტოს მესამე კვირაში, პირველი მოსავალი 1991წლის აგვისტოში იქნა მოწეული. ნაყოფი ზომით დიდია, შესანიშნავი ტექსტურით, ფორმით მრგვალი, კანი წითელი, კურკა ნაყოფს არ შორდება. ჯიში გამოყვანილია ჰიბრიდიზაციის მეთოდით ნექტარინის „რედ დაიმონდ“ ჯიშთან (აშშ მცენარის პატენტი 3,165), როგორც სელექციური მშობელი და „მეი დაიმონდი“ (აშშ მცენარის პატენტი 5,454), როგორც სელექციური დამამტვერიანებელი მშობელი.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 206 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 206
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 19

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

Lowell Glen BRADFORD (US)
10219, E. Mariposa Way, Le Grand, CA, 95333 (US)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Nectarine Prunus Persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: WESTERN RED

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The present invention relates to a variety of nectarine tree, *Prunus persica* (L). and more particularly to a new and distinct variety, hereinafter referred to by "WESTERN RED", broadly characterized by a large size, vigorous, hardy, productive and regular bearing tree. The fruit matures under the ecological conditions described approximately the third week in August, with first picking on Aug. 21, 1991. The fruit is uniformly large in size, excellent in flavor, attractively globose in shape, clingstone in type, very firm in texture, and almost full red in skin color. The variety was developed as a hybridized seedling with Red Diamond Nectarine (U.S. Plant Pat. No. 3,165) as the selected seed parent and May Diamond Nectarine (U.S. Plant Pat.No. 5,454) as the selected pollen parent.



ბანაცხადის გამომგზავნების ნომერი: P 2017 209 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 209
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 19

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი
10219, ი. მარიპოსა ვეი, ლე გრანდ, CA, 95333 (US)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ნექტარინი Prunus Persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მაჯესტიკ პერლი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიათება:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ახალ და განსხვავებულ ნექტარინის ხის Prunus persica L. ახალი ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „მაჯესტიკ პერლი“ ნათლად ხასიათდება დიდი ზომის, ძლიერი ხით. თვითდამტკერადი, პროდუქტიული, უხვმოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი მწიფდება და ეკოლოგიურ კონდიციას აღწევს ივლისის ბოლოს. პირველი მოსავალი აიღეს 2006 წლის ივლისში. ნაყოფი დიდი ზომისაა, მომყავო, შიგნით ტკბილი, სფერული ფორმის, კურკა არ სცილდება რბილობს. კარგი ტექსტურა გააჩნია, რბილობი თეთრი ფერისაა, ხოლო კანი - წითელი ფერის.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 209 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 209
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 19

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

Lowell Glen BRADFORD (US)
10219, E. Mariposa Way, Le Grand, CA, 95333 (US)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: MAJESTIC PEARL

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The present invention relates to a new and distinct variety of nectarine tree, *Prunus persica* L. hereinafter referred to by "MAJESTIC PEARL" broadly characterized by a large size, vigorous, hardy, self-fertile, productive and regular bearing tree. The fruit matures under the ecological conditions described in late July, with first picking on Jul. 23, 2006. The fruit is uniformly large in size, sub-acidic and sweet in flavor, globose in shape, clingstone in type, very firm in texture, white in flesh color, and mostly red in skin color.



ბანაცხადის გამომგვამების ნომერი: P 2017 210 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 210
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 19

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი
10219, ი. მარიპოსა ვეი, ლე გრანდ, CA, 95333 (US)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ატამი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: აივორი სტარი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ახალ და განსხვავებულ ატმის ჯიშს, Prunus persica L., რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც „აივორი სტარი“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიული წვნიანი ვარდისფერი შეფერილობის ნაყოფით, კარგი არომატით.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 210 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 210
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 19

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

Lowell Glen BRADFORD (US)
10219, E. Mariposa Way, Le Grand, CA, 95333 (US)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S

LANGUAGE AND IN LATIN: Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: IVORY STAR

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The present invention relates to a new and distinct variety of peach tree, *Prunus persica* (L) Batsch, hereinafter referred to by the variety denomination "IVORY STAR", broadly characterized by a good productivity, bright fruits of vivid reddish-pink color with a good, delicate and aromatic flavor.



ბანაცხადის გამომგზავნების ნომერი: P 2017 211 A
ბანაცხადის ნომერი: P 2016 211
ბანაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 19

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი
10219, ი. მარიპოსა ვეი, ლე გრანდ, CA, 95333 (US)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ატამი Prunus persica L. Batsch

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ბრაპრინი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ატმის ხეს, *Pyrus communis* L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ბრაპრინი“. იგი ნათლად ხასიათდება, როგორც მაღალი ხე, საშუალოდ ძლიერი და ვერტიკალური. ნაყოფს აქვს საშუალო სიმწიფის დრო, წითელი კანი, მოთეთრო კრემისფერი რბილობი და ტკბილი გემოთი.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 211 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 211
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 19

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

Lowell Glen BRADFORD (US)
10219, E. Mariposa Way, Le Grand, CA, 95333 (US)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S
LANGUAGE AND IN LATIN:** Peach Prunus persica L. Batsch

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: BRAPRIN

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The present invention relates to a peach tree, *Prunus persica* (L). and more particularly to a new and distinct variety, hereinafter referred to by "BRAPRIN", broadly characterized by a high tree, moderately vigorous and upright. The fruit has a medium maturity time, an intense red skin on a white ground color, with a firm flesh white cream in color, a sweet taste and freestone.



განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: P 2017 223 A
 განაცხადის ნომერი: P 2016 223
 განაცხადის წარდგენის თარიღი: 2016 12 26

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

„ც. რ. პ. ვ. სოჩ. კოოპ.“
 ვია დელ’არიგონი, 120–47522 ჩეზენა (FC) (IT);
 ალმა მატერ სტუდიორუმ-უნივერსიტა დი ბოლონია
 ვია ძამბონი, 33 – 40126, ბოლონია (IT);
 სილვიერო სანსაგინი
 ალმა მატერ სტუდიორუმ – უნივერსიტა დი ბოლონია, ვია ძამბონი, 33 – 40126,
 ბოლონია (IT);
 სტეფანო ლულიი
 ალმა მატერ სტუდიორუმ – უნივერსიტა დი ბოლონია, ვია ძამბონი, 33 – 40126,
 ბოლონია (IT)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ძართულად და ლათინურად:

ბალი Prunus avium (L.) L.

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ბლეკ სტარი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

განაცხადი ეხება ბალის ხეს, Prunus avium L. უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „ბლეკ სტარი“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიულობით და გვიანი სიმწიფით. ამ ჯიშის ბალს აქვს მუქი ფერის დიდი ზომის ნაყოფი. რბილობი ტკბილია, წვნიანი. ნაყოფი არ არის სენსიტიური გახლეჩვისადმი და მონილიას მიმართ.

NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION: P 2017 223 A
SERIAL NUMBER OF APPLICATION: P 2016 223
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2016 12 26

NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:

"C. R. P. V. Soc. Coop."

Via dell'Arrigoni, 120 – 47522 Cesena (FC) (IT);

Alma Mater Studiorum – Università di Bologna

Via Zamboni, 33 – 0126, Bologna (IT);

Silviero SANSAVINI

Alma Mater Studiorum – Università di Bologna, Via Zamboni, 33 – 0126, Bologna (IT);

Stefano LUGLI

Alma Mater Studiorum – Università di Bologna, Via Zamboni, 33 – 0126, Bologna (IT)

GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN: Cherry Prunus avium (L.) L.

NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: BLACK STAR

BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:

The present invention relates to a cherry tree, Prunus avium (L.) L. And more particularly to a new and distinct variety, hereinafter referred to by "BLACK STAR", broadly characterized by its very good and constant productivity and its semi-late ripeness. It's a variety with attractive, large and shiny fruits with a dark coloration. The flesh is sweet and very firm, even on fruits picked with advanced maturity. In addition, the fruits are not very sensitive to cracking and Monilia.



დანართები

ANNEXES

დანართი 1

ANNEX 1

ჯიშის აღწერილობა

I. კულტურა: სიმინდი *Zea mays amyloacea*
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: ოთარ ლიპარტელიანი

წილკნის საკრებულო, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);

ფილარეტ ბეგოიძე

სოფ. ერედა, მცხეთა (GE);

ლია ქირიკაშვილი

გლდანი, მე-2 მ/რ, კორპ. 46, ბ. 22, თბილისი (GE);

იოსებ სარჯველაძე

გ. ჩიტაიას ქ. 13/2, თბილისი (GE);

მანანა ირიაული

სოფ. ახალუბანი, მცხეთა (GE)

III. ჯიშის დასახელება: სახამებლიანი შაპი

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

სელექციური მუშაობის დაწყების წელი: 2009 წელი.

საქართველოში სახამებლიან სიმინდზე მუშაობა დაიწყო 2009 წელს. პირველ წელს სიმინდის მარტივი საზთაშორისი ჰიბრიდის „ქართული 9“ პირველი თაობის ნათესიდან მიღებული მოსავალი საკონკურსო გამოცდაში აღმოჩნდა მთლიანად შავი ფერის, სახამებლის მაღალი შემცველობით. 2010 და 2013 წლებში ჩატარდა ჯიშის საკონტროლო და წინასწარი ჯიშთა გამოცდა ყოფილ საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის სელექციის სადგურსა და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე.

ჯიში წარმოადგენს სპონტანური მუტაციის შედეგს. ჯიშზე ჩატარდა მცენარეთა გამორჩევა სამეურნეო-ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ბოტანიკური და ბიოქიმიური ნიშან-თვისებების მიხედვით. ის წარმოადგენს მეტად საინტერესო ფორმას, როგორც მოსავლიანობით, ასევე, ბიოქიმიური შემადგენლობით. არის გამძლე ჩაწოლისა და დაავადება მავნებლების მიმართ.

V. სხვა ინფორმაცია:

ჯიში არის სასურსათო, სამრეწველო და სამარცვლე მიმართულების და ჯიშ „ქართულ კრუგთან“ შედარებით იძლევა 6 ცენტნერით მეტ მოსავალს, აგრეთვე, სჯობნის მარცვლით და ქიმიური შემცველობით. არის ხელსაყრელი მოვლამოყვანის მექანიზირებული ტექნოლოგიებისადმი, შედარებით საადრეოა, შემოდის ორი კვირით ადრე. უფრო გამძლეა ჩაწოლისა და სოკოვანი დაავადებებისადმი, მგრძობიარეა აგროფონისადმი. მცენარეთა ოპტიმალური სიხშირეა 60 ათასი მცენარე ჰექტარზე.

VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

მოსავლიანობით, სავეგეტაციო დღეთა რიცხვით დაავადება მავნებლების მიმართ იმუნურობით არის მსგავსი თავისი საწყისი ჰიბრიდის „ქართული 9“.

VII. დამატებითი ინფორმაცია:

სიმინდის ახალი ჯიშის „სახამებლიანი შავი“ ტარო საშუალო ზომის ოდნავ კონუსური ფორმის, სიგრძე 20 სმ, მარცვლის მწკვირების რიცხვი 14, მწკრივში მარცვლის რაოდენობა 40, ტაროს საშუალო დიამეტრი 4 სმ, ნაქუჩი წითელი, ტაროს წვერი კარგადაა შევსებული მარცვლებით. მარცვლის გამოსავალი ტაროდან 84% ტაროს საშუალო წონა 215 გრ.

რეკომენდებულია მესიმინდობის ყველა ზონისათვის, როგორც სამრეწველო, ასევე სამარცვლედ, სასურსათოდ და საკვებად. ამ მიმართულებით რეკომენდებულ ჯიშებს „აჯამეთის თეთრი“, „აბაშური ყვითელი“ და „ქართული კრუგი“ ის ჯობია მარცვლისა და მწვანე მასის ბიოქიმიური შემადგენლობით.

VIII. სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებები:

№	მაჩვენებლები	ახალი ჯიშის სახამებლიანი შავი			საშუა- ლო	სტანდარტი ქართული კრუბი			
		2014	2015	2016		2014	2015	2016	
1	ხმელი მარცვლის (სინოტივე 14%) მოსავალი (ტ/ჰა)	7,4	8,2	9,6	8,3	6,9	7,6	8,2	7,5
2	1000 მარცვლის მასა (გრ)	312	315	313	310	305	310	306	340
3	ტაროს მასა გრამი	341	340	345	342	320	335	345	337
4	ტაროს შემარცვლა (%-ში)	100	100	100	100	100	100	100	100
5	ჩაწოლისადმი გამძლეობა ბაღეში ჩაწოლა არაა, 5 ქლიერი ჩაწოლა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
6	სავეგეტაციო პერიოდი				120				132
7	სანთლისებრი სიმწიფე				113				120
8	მარცვლის სინოტივე მოსავლის აღებისას				19				22
9	მცენარის სიმაღლე ქოჩოჩომ- ღე				275				780
10	ტაროს რიცხვი მცენარეზე				1,2				1,1
11	ტაროდან მარცვლის გამოსავალი (%)	84	83	83	83	83	84	83	83
12	გამძლეობა დაავადებებისად- მი (ბაღეში)	0	0	0	0	0	0	0	0
13	გამძლეობა მავნებლების მიმართ	0	0	0	0	0	0	0	0

IX. ჯიშის მორფოლოგიური აღწერა:

	აღწერის ელემენტები	ახალი ჯიშის
	I. მცენარე	
ა	ფოთლების რიცხვი მთავარ ღეროზე	14-18
ბ	მიწისზედა მუხლების რიცხვი მთავარ ღეროზე	12-16
გ	მცენარის სიმაღლე სმ	220
	II. მარცვალი	
	შეფერილობა	შავი
	ენდოსპერმის ფერი	თეთრი
	კონსისტენცია	ნახევრად კბილა

III. ტარო		
ა	ფორმა	სუსტი კონუსური
ბ	სიგრძე სმ	22
გ	შეფერვა ყვავილედის	ვარდისფერი
დ	ტაროზე მარცვლის მწკრივების რიცხვი	14
ე	მარცვლის რიცხვი მწკრივში	50

X. მასალის ჩამონათვალი, რის საფუძველზეც შედგენილია აღწერა:

მინდვრულ ცდებში მცენარეთა განვითარების აღრიცხვის უურნალიდან და ტარო-მარცვლის სამეურნეო, ბიომორფოლოგიური, ბოტანიკური, ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებათა შესწავლის უურნალიდან.

სამი წლის მონაცემებით, „სახამებლიანი შავი“ ჯობია სტანდარტ „ქართულ კრუგს“ 0,6 ტონით ჰექტარზე. გარდა ამისა, სტანდარტთან შედარებით 12 დღით საადრეო და სოკოვანი დაავადებებისადმი უფრო გამძლეა, და რაც მთავარია ის შეიცავს სახამებელს ორჯერ მეტს.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. სიმინდზე სამრეწველო მიმართულებით სელექციური მუშაობის მთავარი მიმართულებაა სახამებლის მეტი რაოდენობით შემცველი ფორმების გამოყვანა;
2. საწყის მასალად გამოყენებული იქნას ადგილობრივი და უცხოური ჰიბრიდული და ჯიშური ფორმები, რომელთა მარცვალშიც მეტია სახამებლის შემცველობა;
3. სახამებლის მაღალი შემცველობის ფორმებიდან საინტერესო ნომრების მიღების მიზნით უნდა გამოვიყენოთ გამორჩევა;
4. სახამებლიანი ფორმების მეთესლეობა მოეწეობა ბუნებრივი და ხელოვნური იზოლიაციის გარეშე, ვინაიდან ეს ფორმა არის მონოგამიური.

სიმიონის ახალი ჯიშის „სახამებლიანი შავი“ სამი წლის
გამოცდის შედეგები

ცხრილი 1

N	დასახელება	მარცვლის მოსავალი ტ/ჰა წლების მიხედ- ვით			საშუალო მოსავალი ტ/ჰა	ბალახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიც- ხში
		2014	2015	2016		ტ/ჰა	%	
1	ქართული კრუგი სტ.	6,2	5,6	5,9	5,9	±0,0	100	132
2	შავი სახამებ- ლიანი	6,8	6,4	6,7	6,5	+0,6	110	120



გამოსახულება: 1

ANNEX 1

ჯიშის აღწერილობა

I. კულტურა: ნექტარ Prunus persica L. Batsch
 (ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: რენე მონტე-კაილე
 დე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი
 (FR)

III. ჯიშის დასახელება: მონფირო

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამომყვანასა და გამრავლებაზე:

1.1. წარმოშობა

კლონი

1.2. რეგიონი და ქვეყანა, სადაც გამოყვანილი, გამოვლენილი და გაუმჯობესებულია ჯიში

ინრა ანჟერი - საფრანგეთი

ტესტირების პერიოდი - 1991-1995

ტესტირების ადგილი - INRA - 33140 პონტ დე ლა მეი (საფრანგეთი)

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:

№	მახასიათებლები	გამონათვის ხარისხი	აღნიშვნა
1	2	3	4
ხე:			
1.	ზომა	საშუალო მაღლისკენ	5
2.	სიძლიერე	საშუალო	5
3.	აღმოცენება	აღმოცენებული	5
მოყვავილე კვირტი:			
4.	სისქე	საშუალო	5
5.	ვეგეტატ. ყლორტის საგრძე	საშუალო	5
6.	ანტოციანური შეფერილობა	გააჩნია	9
7.	ანტოციანური შეფერილობის ინტენს.	ძლიერი	7
8.	ყვავილის ბუტონის სიმკვრივე	მკვრივი	7
9.	ყვავილის ბუტონების ზოგადი განაწილება	ორზე მეტი	2

1	2	3	4
ყვავილი:			
10.	ტიპი	როზეტი	2
ყვავილის ჯამი:			
11.	შიგნითა მხარის ფერი (ღია ყვავილი)	მოყვითალო მწვანე	1
გვირგვინი:			
12.	პრედომინანტური ფერი (შიგნითა მხარე)	ღია ვარდისფერი	5
ფოთოლაკი:			
13.	ფორმა	ფართო ელიფსური	2
14.	ზომა	საშუალო	5
15.	რაოდენობა	ხუთი	1
ბუტკო:			
16.	ფოთოლაკის პოზიცია ბუტკოს მიმართ	გასწვრივ	1
ლაქა:			
17.	პოზიცია მტვრიანას მიმართ	ერთნაირი	2
მტვრიანა:			
18.	დამტვერვა	იმტვერება	9
ნასკვი:			
19.	სიმწიფე	არ არის	1
ახალბაზრდა კვირტი:			
20.	ფოთოლაკის სიგრძე	საშუალო	5
შეფოთვლა:			
21.	სიგრძე	საშუალო	5
22.	სიგანე	ვიწრო	3
23.	შეფარდება სიგრძე/სიგანე	დიდი	7
24.	ჯვარედინი სექციის ფორმა	გამობურცული	1
25.	წვერის ჩაღრმავება	არის	9
26.	დახრილობა დაბლა	მახვილი	1
27.	ზედა დახრილობა	საშუალო	5
28.	შეფერილობა	მწვანე	2
ყუნწი:			
29.	სიგრძე	საშუალო	5
30.	ნექტარი	გააჩნია	9
31.	ნექტარის ფორმა	მრგვალი	1
32.	ნექტარის პრედომინანტ. რაოდენობა	ორზე მეტი	2
ნაყოფი:			
33.	ზომა	დიდი	7
34.	ფორმა	ოვალური	4
35.	ბუტკოს ფორმა	მომრგვალებული	4
36.	სიმეტრია	ასიმეტრიული	1
37.	დაძარღვა	საშუალო	5
38.	კვირტის ჩაღრმავება (სიღრმე)	ღრმა	7
39.	ჩაღრმავების სიგანე	საშუალო	5
40.	ძირის შეფერილობა	მოკრემისფრო თეთრი	4

1	2	3	4
41.	კანის საბოლოო ფერი	არის	9
42.	საბოლოო ფერის ტონი	მუქი წითელი	6
43.	საბოლოო ფერის ნიმუში	კვირტები ჭრელია	1/3
44.	შეფერილობის განფენილობა	საშუალო	5
45.	სიმწიფე	არ არის	1
46.	სიმწიფის ინტენსივობა	-----	
47.	კანის სისქე	თხელი	3
48.	კანის შეზრდა რბილობთან	არ არის ან ძალიან სუსტი	1
49.	რბილობის სიმაგრე	მაგარი	7
50.	რბილობის შიდა ფერი	ღია ყვითელი	3
51.	კანქვეშ ანტოციანური შეფერილობა	არ არის ან ძალიან სუსტი	1
52.	რბილობის ანტოციანური შეფერილობა	არ არის ან ძალიან სუსტი	1
53.	კურკის გარშემო ანტოც. შეფერილობა	ძლიერი	3
54.	რბილობის ტექსტურა	არ არის დაძარღვული	1
55.	სიტკბო	მაღალი	7
56.	მჟავიანობა	დაბალი	3
კშრბა:			
57.	ზომა	დიდი	7
58.	ფორმა	მომრგვალო	4
59.	ყავისფერი ფერის ინტენსივობა	მუქი	7
60.	ზედაპირის რელიეფი	ღარები	2
61.	ტენდენცია გახლეჩვისადმი	არ არის ან სუსტია	1
62.	რბილობზე მიკვრა	არის	9
63.	რბილობზე მიკვრის ხარისხი	სუსტი	3
64.	შეფოთვლის დრო	საშუალო	5
65.	ყვავილობის დაწყების დრო	ადრეული	3
66.	ყვავილობის დრო	საშუალო	5
67.	ზრდასრულობა	საგვიანო	7
68.	მომწიფებაშდე ცვენის ტენდენცია	არ არის ან სუსტია	1



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3



გამოსახულება: 4



გამოსახულება: 5



გამოსახულება: 6

**ლანართი 3
ANNEX 3**

ჯიშის აღწერილობა

I. კულტურა: ატამი Prunus persica L. Batsch
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

II. სელექციონერი: რენე მონტე-კაიე
ლე კუსტიერ დე მალასერსი, 13890, მურიესი, საფრანგეთი
(FR)

III. ჯიშის დასახელება: მონჟონი

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამომავალზე და გამრავლებაზე

1.1. წარმოშობა
კლონი

1.2. რეგიონი და ქვეყანა, სადაც გამოყვანილი, გამოვლენილი და გაუმჯობესებულია ჯიში

ინრა ანჟერი - საფრანგეთი

ტესტირების პერიოდი - 199-2001

ტესტირების ადგილი - INRA - 33880 ვილენავე დ'ორნონი (საფრანგეთი)

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:


№	მახასიათებლები	გამონათვის ხარისხი	აღნიშვნა
1	2	3	4
	ხე:		
1.	ზომა	დიდი	7
2.	სიძლიერე	საშუალო	5
3.	აღმოცენება	ნახევრადვერტიკალური	3
	მოყვავილე კვირტი:		
4.	სისქე	მსხვილი	7
5.	ვეგეტატ. ყლორტის სიგრძე	საშუალო	5
6.	ანტოციანური შეფერილობა	გააჩნია	9
7.	ანტოციანური შეფერილობის ინტენს.	ძლიერი	7
8.	ყვავილის ბუტონის სიმკვრივე	მეჩხერი	3
9.	ყვავილის ბუტონების ზოგადი განაწილება	ორზე მეტი	2

1	2	3	4
ყვავილი:			
10.	ტიპი	როზეტი	2
ყვავილის ჯაში:			
11.	შიგნითა მხარის ფერი(ღია ყვავილი)	ნარინჯისფერი	2
ბმირბმინი:			
12.	პრედომინანტური ფერი (შიგნითა მხარე)	ღია ვარდისფერი	3
ფოთოლაკი:			
13.	ფორმა	ვიწრო ელიფსური	1
14.	ზომა	საშუალო	5
ფოთოლაკები:			
15.	რაოდენობა	სუთი	1
ბუტკი:			
16.	ფოთოლაკის პოზიცია ბუტკოს მიმართ	გასწვრივ	1
ლაქა:			
17.	პოზიცია მტკვრიანას მიმართ	ერთნაირი	2
მტკვრიანა:			
18.	დამტკვერვა	იმტვერება	9
ნასკვი:			
19.	სიმწიფე	არის	9
ახალბაზრდა კვირტი:			
20.	ფოთოლაკის სიგრძე	მოკლე	3
შეფოთვლა:			
21.	სიგრძე	საშუალო	5
22.	სიგანე	საშუალო	5
23.	შეფარდება სიგრძე/სიგანე	დიდი	7
24.	ჯვარედინი სექციის ფორმა	გამობურცული	2
